დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

სსიპ- ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბექა ადუაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
ალექსანდრე კეკენაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 243122679

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 8 ივლისის N897234 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - ბექა ადუაშვილი, ალექსანდრე კეკენაძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელების ნაწილში ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა), ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლაში 2026 წლის 21 ივლისს (მის.: ქალაქი წალკა, ჭელიძის ქუჩა N 53). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება არ ქმნის ხელშემშლელ გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისთვის. პროფესიული და ზოგადი განათლების პროცესები ისეა ორგანიზებული, რომ ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები ეფექტიანად ნაწილდება, რაც უზრუნველყოფს ორივე მიმართულების პარალელურ და შეუფერხებელ განხორციელებას და ქმნის მრავალფეროვან, ეფექტიანად მართვად საგანმანათლებლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- **სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო** სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულების სრულფასოვანი ასახვა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განახლება ისე, რომ მკაფიოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება **(2026 წლის ოქტომბრამდე).**

- ასევე, უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების თანამშრომლებისთვის ოფიციალურად გაცნობა და შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მათთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2026 წლის ნოემბრამდე). აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ხელს შეუწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიან მართვას, პროცესების კოორდინირებულ წარმართვას და პასუხისმგებელ პირთა ფუნქციების გამჭვირვალე განაწილებას.**

ინდიკატორის 4.1.2.1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლამ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2027 წლის იანვრამდე)** უზრუნველყოს შინაგანაწესის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული რეგულაციების მკაფიო გამიჯვნა,
- ასევე განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და კორექტირება (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **2027 წლის მარტამდე),** რათა დაწესებულების შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიმართულებით მოქმედ მართვის პროცესებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას .

ბ. რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორის 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შესაბამისობის რეკომენდაცია

- სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისთვის აუცილებელი, პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბერი.

ინდიკატორის 2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბრამდე უზრუნველყოს დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და ხელშეკრულებების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი, ხარისხიანი და მდგრადი განხორციელება.

ინდიკატორის 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტებთან **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით** განსაზღვრული პროფესიული განვითარების ღონისძიებების სრულად განხორციელება დადგენილ ვადაში - **2026 წლის ნოემბრამდე**. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება, რათა მათ პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფლობდნენ პროფესიული განათლებისთვის აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას, თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შეფასების შესაბამის მიდგომებს.

ინდიკატორის 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო რესურსების სრულყოფა და განახლება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 2026 წლის ნოემბრამდე, რათა პროგრამის დაწყების მომენტისთვის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ყველა სასწავლო რესურსი.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- პროფესიული განათლების მიმართულებით გამოცდილების ნაკლებობის გამო, კონკრეტული პროგრამის შემუშავების პროცესი სრულად არ განხორციელებულა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: **სასურველია,** შემდგომი პროგრამების შემუშავებისა თუ დანერგვისას, ყველა პროცედურული ეტაპი - საჭიროებათა კვლევით დაწყებული, საბოლოო დამტკიცებით დამთავრებული - ზუსტად მიჰყვებოდეს მოქმედი დებულებით გათვალისწინებულ შაბლონებსა და ოფიციალურ ფორმატებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები (პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებლებისთვის), განსაზღვროს მათი გამოყენების პერიოდულობა, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცედურები, ასევე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მტკიცებულებებსა და უკუკავშირზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, სკოლამ წინასწარ დაარეგულიროს პროგრამის განმახორციელებელთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების წესი, მათ შორის განსაზღვროს მათი ჩატარების პერიოდულობა, ფორმატი, შეხვედრების შედეგების დოკუმენტირების პროცედურა და მიღებული გადაწყვეტილებების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის სისტემურ წარმართვას, მიღებული ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო შედეგიან ფუნქციონირებას.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე სკოლამ დანერგოს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმი. ასევე მიზანშეწონილია განისაზღვროს უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, მათი გამოყენების პერიოდულობა და მიღებული შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების წესი, რათა სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნებოდეს პროფესიული სტუდენტების გამოცდილებას, საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასურველია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის პროცესის, მათზე რეაგირების მიზნით განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების სისტემური დოკუმენტირება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, კონსულტაციების ამსახველი ჩანაწერების, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგის შედეგებისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოების გზით. მსგავსი პრაქტიკა ხელს შეუწყობს არსებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და დაადასტურებს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომების რეალურ განხორციელებას.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება
   1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია
   1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**

სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის მისია, შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან და ქმნის საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

სკოლის მისია ორიენტირებულია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული პრიორიტეტები თანხვედრაშია პროფესიული განათლების მიზანთან, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, პროფესიული და ზოგადი კომპეტენციებით აღჭურვილი, პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი მოქალაქის მომზადებას.

ამასთან, მისიაში პირდაპირ არის ასახული, რომ სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გზით ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, რაც ადასტურებს, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

წარმოდგენილი მისიის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ორიენტირებულია პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე და ქმნის საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის.

ინდიკატორის 1.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მისი პროფილი და როლი განათლების სისტემაში.

მისია ასახავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც მოიცავს ხარისხიანი ზოგადი და პროფესიული განათლების უზრუნველყოფას, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდას. ამასთან, მისიაში ხაზგასმულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგვა და მათი საშუალებით პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც განსაზღვრავს დაწესებულების პროფესიულ პროფილს.

მისიით ასევე იკვეთება დაწესებულების როლი განათლების სისტემაში, რომელიც გამოიხატება როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დემოკრატიული, ტოლერანტული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში.

დაწესებულების განმასხვავებელ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ზოგადი და პროფესიული განათლების ერთიან სივრცეში განხორციელება, სადაც პროფესიული კომპეტენციების განვითარება შერწყმულია მოქალაქეობრივი ღირებულებების, პატრიოტიზმის, კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებასთან.

წარმოდგენილი მისიის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პროფესიული პროფილი, განათლების სისტემაში მისი როლი და ის მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებს დაწესებულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.

ინდიკატორის 1.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის ხედვა და ღირებულებები ლოგიკურად გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ განხორციელებას.

სკოლის მისია ორიენტირებულია დემოკრატიული ღირებულებების მქონე, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი და განათლებული მოქალაქის აღზრდაზე, ასევე პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული პრიორიტეტები თანმიმდევრულად აისახება ხედვაში, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარების გრძელვადიან მიმართულებებს, მათ შორის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას, თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას, პროფესიული განათლების განვითარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შედეგების გაუმჯობესებას.

ხედვის განხორციელებას საფუძვლად უდევს სკოლის მიერ განსაზღვრული ღირებულებები, რომლებიც მოიცავს პროფესიონალიზმს, კოლეგიალობას, ურთიერთპატივისცემას, უწყვეტ განვითარებას, ემპათიას, ტოლერანტობას, შემოქმედებითობას, პატრიოტიზმს, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და თვითგანვითარებას. აღნიშნული ღირებულებები ქმნის საერთო ორგანიზაციულ კულტურას და წარმოადგენს სკოლის საქმიანობის, გადაწყვეტილებებისა და საგანმანათლებლო პროცესების წარმმართველ პრინციპებს.

ხედვასა და ღირებულებებს შორის შეინიშნება შინაარსობრივი თანმიმდევრულობა, რაც უზრუნველყოფს მისიის პრაქტიკულ რეალიზაციას როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ურთიერთშეთანხმებულია და ქმნის ერთიან კონცეპტუალურ საფუძველს დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 1.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი განხორციელდა თანამონაწილეობრივი მიდგომის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტების პროექტები მომზადდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რის შემდგომაც გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოების წევრებთან მათი მოსაზრებებისა და უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით.

შემუშავებული დოკუმენტების საბოლოო ვერსიები დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის - განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და ასევე წარმოდგენილია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას, საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებასა და სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას დაწესებულების მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის 1.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ - N 1კ -05, 01.06.20206;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილების თაობაზე N 2-68, 02.06.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, 03.06.2026;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 4 05.06.25;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 09.06.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, 10.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული მიმართულებით სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-72 11.06.2026;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; სკოლის ვებ გვერდი;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი tsalkaskola1;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლის დირექტორის **2026 წლის 5 ივნისის N 2-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“** განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან, უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებულ ძირითად რეგულაციებს. დოკუმენტი ქმნის სამართლებრივ და პროცედურულ საფუძველს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფისთვის.

ზემოხსენებული დებულებით მოწესრიგებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე სტატუსის აღდგენის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მდგომარეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალე და წინასწარ განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესით მიღებას. ამასთან, განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის, პროგრამის ფარგლებში განათლების მიღების, შეფასების, შედეგების გასაჩივრებისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობები.

შიდა რეგულაციები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპებს, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს. ამავე დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

ასევე, დოკუმენტით რეგულირდება სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დასწრების აღრიცხვა, მობილობის, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობები, ფორმალური განათლების აღიარების, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვას განათლების მიღების მთელ პროცესში.

დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრული იყოს არა მხოლოდ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, არამედ შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები აისახოს პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. ხელშეკრულებებით დარეგულირდება მხარეთა უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პირობები და პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გარანტიები.

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისთვის საჭირო შიდა რეგულაციები და გეგმავს აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაწყებისთანავე.

ინდიკატორის 3.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;**

სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლაში პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების, მობილობის, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისა და სტუდენტის მხარდაჭერასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას, რომლის მიზანია სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა და მათთვის დაწესებულების საქმიანობის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, არსებული მომსახურებებისა და მათი უფლებების დაცვის მექანიზმების გაცნობა. აღნიშნული პროცესის კოორდინაციას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების კოორდინატორი.

საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესში მონაწილეობის წესების, შეფასების პროცედურების, გასაჩივრების შესაძლებლობებისა და დაწესებულებაში არსებული მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმების შესახებ. ასევე, სტუდენტებს განემარტებათ, თუ რა გზებით შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მოთხოვნა.

პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობა მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ დამატებით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სადაც აისახება მხარეთა უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები და საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის ძირითადი პირობები.

ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა აცნობიერებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების მნიშვნელობას და გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროფესიული განათლების კოორდინატორი უზრუნველყოფს სტუდენტებთან კომუნიკაციას, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირების ხელშეწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას გააჩნია პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მარეგულირებელი საფუძველი, ხოლო დაგეგმილი საინფორმაციო ღონისძიებები და ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობები უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობისა და მათი უფლებების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობას.

ინდიკატორის 3.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული მექანიზმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყების შემთხვევაში უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას. ამავე დებულებით განსაზღვრულია შეფასების სისტემის ძირითადი პრინციპები, შეფასების ფორმები, შეფასების ჩატარების წესი, დამატებითი შეფასების შესაძლებლობა, ასევე შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა, უფლებამოსილი პირები, განხილვის ვადები და გადაწყვეტილების მიღების წესი, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივ და პროცედურულ საფუძველს.

ვიზიტის ფარგლებში სკოლის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების კოორდინატორთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე დაგეგმილია პროფესიული სტუდენტებისთვის საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, რომლის მიზანია მათი სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. გასაუბრების ფარგლებში ასევე დადასტურდა, რომ აღნიშნული შეხვედრების დროს პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე დაწესებულებასთან თანამშრომლობის წესების შესახებ. ამასთან, პროფესიული სტუდენტისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა დადასტურდება პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რაც წარმოადგენს მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფის დამატებით მექანიზმს.

წარმოდგენილი რეგულაციები და გასაუბრების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ავტორიზაციის პროცესშია და პროფესიული პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში ფუნქციონირების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 3.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლას** შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყების შემთხვევაში გამოყენებული იქნება პროფესიულ სტუდენტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.
ხელშეკრულების ნიმუში ასახავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, განსაზღვრავს დაწესებულების ვალდებულებებს, მხარეთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის სხვა არსებით პირობებს. ამასთან, ხელშეკრულების ფორმით გათვალისწინებულია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა, კერძოდ, მათი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას. წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუში ქმნის პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საფუძველს. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ აუცილებელ პირობებს და ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ავტორიზაციის პროცესშია და პროფესიული პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, ხელშეკრულების პრაქტიკაში გამოყენების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 3.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, მისი გამოყენების პირობები და შემუშავების პროცედურა. რეგულაციებით გათვალისწინებულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებები მოითხოვს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვას. ამასთან, დებულება განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ეფუძნება პროფესიული სტუდენტის ჩართულობას, მისი ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით, მისი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ინტერესების შეფასების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების სამართლებრივ და პროცედურულ საფუძველს. დადგენილი მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ჩართულობასა და მისი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ავტორიზაციის პროცესშია და პროფესიული პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში ფუნქციონირების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 3.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69, 05.06.2026;
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-66, 01.06.2026;
- სკოლის ადმინისტრაციასთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის N 2-66 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი **„სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“**, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების საქმიანობის სფეროს, პასუხისმგებლობებს, უფლებამოსილებებსა და შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების მართვის პროცესში ჩართული პირების ფუნქციების მკაფიო განაწილებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრის საფუძველს.

აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადი პოზიციების - **პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის** - ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქციები მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებისა და კოორდინაციის საკითხებს, მათ შორის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვისა და სასწავლო ცხრილების მართვას, პროფესიული სტუდენტების დასწრების კონტროლს, შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგს, ასევე პროფესიული სტუდენტების კარიერული განვითარების, პროფორიენტაციისა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები ორიენტირებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. აღნიშნული პოზიციის პასუხისმგებლობებში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, თვითშეფასების პროცესის კოორდინაცია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარების საჭიროებების კვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. მისი მოვალეობებია პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი, სასწავლო გარემოსა და რესურსების მზადყოფნის შეფასება, პროგრამის განხორციელების პროცესის კოორდინაცია და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან თანამშრომლობა. განსაზღვრული ფუნქციები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და განხორციელების პროცესის თანხვედრის მხარდაჭერას.

პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებას, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, სწავლის შედეგების შეფასებას, მტკიცებულებების შეგროვებასა და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობებში მონაწილეობას.

ზემოხსენებულ დოკუმენტში ასევე გაწერილია თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების სპეციფიკის ცოდნა, ციფრული კომპეტენციები, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები. აღნიშნული მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პირები ფლობდნენ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების გამჭვირვალობას, თანამშრომელთა ანგარიშვალდებულებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

სკოლის მიერ შემუშავებული სამუშაო აღწერილობები უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების როლებისა და ფუნქციების მკაფიო განსაზღვრას. პასუხისმგებლობების განაწილება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების საჭიროებებს და ქმნის საფუძველს პროგრამის ადმინისტრაციული, სასწავლო და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანი მართვისთვის.

ინდიკატორის 4.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული მართვის პროცესების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით (2026 წლის 1 ივნისის №2-66) დამტკიცებულ დოკუმენტში – „**სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები**“ – განსაზღვრულია პროფესიული განათლების პროცესში ჩართული პერსონალის სამუშაო აღწერილობები, მათი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი მართვისა და განხორციელების ორგანიზაციულ საფუძველს. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პროფესიული განათლების კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, შესყიდვების სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პასუხისმგებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობების ანალიზით დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ფუნქციები იდენტიფიცირებულია და გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე. კერძოდ, განსაზღვრულია სასწავლო პროცესის კოორდინაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, პროფესიული სტუდენტების ადმინისტრირებასთან, პროგრამის განვითარებასთან, შეფასების პროცესთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხარდაჭერასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ამასთან, სკოლის მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე და საჭიროებს დამატებით ადაპტირებას პროფესიული განათლების მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტრუქტურულ დონეზე მკაფიოდ აისახოს პროფესიული განათლების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები და კოორდინაციის მექანიზმები.

.ამასთან, სკოლის მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად ჩამოყალიბებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვის საჭიროებებიდან გამომდინარე და პროფესიული განათლების მიმართულების სპეციფიკა სრულად არ არის ასახული სტრუქტურულ დონეზე.

აღნიშნული გამოწვევის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და მასში პროფესიული განათლების მიმართულებასთან დაკავშირებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ასახვა. ასევე დაგეგმილია თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განახლება და მათი გაცნობა თანამშრომლებისთვის.

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება თანამშრომელთა ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, კოორდინაციის გაუმჯობესებას და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან მართვას.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- **სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო** სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულების სრულფასოვანი ასახვა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განახლება ისე, რომ მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება **(2026 წლის ოქტომბრამდე).**
- ასევე, უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების თანამშრომლებისთვის ოფიციალურად გაცნობა და შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მათთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2026 წლის ნოემბრამდე)**.

ინდიკატორის 4.1.1.2. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს**

სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვის მიზნით დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“** და განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგი, შეფასება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, თვითშეფასების პროცესის კოორდინაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

აღნიშნული ფუნქციები გამიჯნულია პროგრამის უშუალო განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებისგან. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა ორიენტირებულია პროცესების შეფასებაზე, ანალიზსა და გაუმჯობესების ხელშეწყობაზე და არ მოიცავს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ შესაფასებელი პროცესების უშუალო განხორციელებასთან. შესაბამისად, არსებული ფუნქციური განაწილება ქმნის საფუძველს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები განხორციელდეს ობიექტურად და მიუკერძოებლად.

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზსტრატემები ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესის შეფასებას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის, პერსონალის საქმიანობის, შეფასების სისტემისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის ფარგლებში დამოუკიდებელი შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესების წარმართვას.

ვინაიდან სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ინტერესთა კონფლიქტის პრაქტიკული გამოვლენისა და მართვის გამოცდილების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა, წარმოდგენილი შიდა რეგულაციები და ფუნქციების განაწილება უზრუნველყოფს შესაბამის საფუძველს აღნიშნული რისკების თავიდან ასაცილებლად.

ინდიკატორის 4.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-67; 01.06.2026.
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-70, 12.06.2026.
- დირექტორის ბრძანება პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე N 2-67 01.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-66, 01.06.2026.
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2026-2027 ს/წ სამოქმედო გეგმა.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე. პერსონალის მართვისა და განვითარების მიმართულებები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკით“**, რომელიც აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებსა და პროცედურებს.

დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, მათ შორის თანამშრომელთა შერჩევის, დასაქმების, შენარჩუნებისა და პროფესიული განვითარების საკითხებს. ასევე რეგულირდება ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პირობები, თანამშრომლის ორგანიზაციულ გარემოში ინტეგრაციის მექანიზმები, პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურები და მეთოდოლოგიური მიდგომები, აგრეთვე თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების შესაძლებლობები.

პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის პროცესის თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების მოზიდვასა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

სკოლის შინაგანაწესის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროებს დამატებით დახვეწას თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა რეგულაციებთან დაკავშირებული საკითხების მკაფიო გამიჯვნის მიმართულებით. აღნიშნული გარემოების გაუმჯობესების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას განსაზღვრულ ვადებში. გარდა ამისა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვასა და კორექტირებას, რათა დაწესებულების შიდა რეგულაციები თანხვედრაში მოვიდეს პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრულ მართვის პროცესებთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა - შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ ქალაქ წალკის N 1 საჯარო სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2027 წლის იანვრამდე)** უზრუნველყოს შინაგანაწესის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული რეგულაციების მკაფიო გამიჯვნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ასევე განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და კორექტირება (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **2027 წლის მარტამდე),** რათა დაწესებულების შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიმართულებით მოქმედ მართვის პროცესებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას .

ინდიკატორის 4.1.2.1. მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“** განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ხელმძღვანელობს **სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და თანასწორობის პრინციპებით**, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესში.

პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის ძირითადი მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს კანდიდატების შეფასებას წინასწარ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული კომპეტენციებისა და შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას და გამორიცხავს შერჩევის პროცესში დისკრიმინაციული ან სუბიექტური ფაქტორების გავლენას. ვაკანტური პოზიციების არსებობის შემთხვევაში სკოლა იყენებს როგორც არსებული ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს, ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების მოძიებას ღია კონკურსის გზით. კანდიდათა შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის პროცედურით ან ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე, პოზიციის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. დასაქმების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტით - სკოლის დირექტორის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულებით.

წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის პერსონალის შერჩევის თანმიმდევრულ და გამჭვირვალე სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე თანამშრომელთა მოზიდვას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის ადამიანური რესურსის ხარისხობრივ გაძლიერებას, პერსონალის მართვის ეფექტიანობას და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის 4.1.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მათი განათლება, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები შეესაბამება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

აღნიშნული დასტურდება თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც მოიცავს განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ მასალებს. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის გარდა, ყველა პროფესიულ მასწავლებელს და ადმინისტრაციის წარმომადგენელს წარმოდგენილი აქვს ნასამართლეობის შესახებ ცნობები (ცნობა ნასამართლობის შესახებ; ცნობა „საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლობის შესახებ).

ამასთან, აღნიშნულ სამ პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში მათთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება ნასამართლეობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობებიც.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებულ პირებს გააჩნიათ შესაბამისი განათლება, ცოდნა და პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობას.

ინდიკატორის 4.1.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“** განსაზღვრავს პერსონალის მართვისა და განვითარების ძირითად მიდგომებს. დოკუმენტი ეფუძნება თანამშრომლობით, მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებაში.

აღნიშნული მიდგომების პრაქტიკული გამოხატულებაა სკოლის სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების მკაფიო განსაზღვრა, მათ შორის ფუნქციების გადანაწილება და საქმიანობების კოორდინირებული განხორციელება. ასევე, სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა მიუთითებს თანამშრომლობითი გარემოს არსებობაზე, სადაც სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები ერთობლივად მონაწილეობენ დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში.

პერსონალის მართვის აღნიშნული მოდელი ხელს უწყობს პასუხისმგებლობების ეფექტიან განაწილებას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გაძლიერებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პერსონალის მართვისა და განვითარებისათვის საჭირო მარეგულირებელი საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას, ფუნქციების კოორდინირებულ შესრულებას და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებას. შესაბამისად, კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის 4.1.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-67; 01.06.2026.
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-70, 12.06.2026.
- დირექტორის ბრძანება პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე N 2-67 01.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-66, 01.06.2026.
- პროფესიული მიმართულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის N 2-73 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქალაქი წალკა ჭელიძის ქუჩა N 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ - ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის მისიაში დეკლარირებულია დაწესებულების მზაობა პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის განხორციელებისათვის. სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან და არ ეწინააღმდეგება მის ძირითად პრიორიტეტებს. პროფესიული განათლების მიმართულების გამოკვეთის მიზნით, მისიაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, ხოლო დამტკიცებულ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაში (2025-2032) დამატებულია ახალი სტრატეგიული მიზანი: **„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება“**, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების განვითარების მიმართულების ინსტიტუციურ მხარდაჭერას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციამ ჩაატარა სწავლის მსურველთა იდენტიფიცირების პროცესი პირდაპირი ინტერვიუების გზით. აღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა დაინტერესება კომპიუტერული ქსელისა და სისტემების მიმართულებით, რაც საფუძვლად დაედო პროგრამის შერჩევას. ამასთან, სკოლის სამოქმედო არეალში აღნიშნული მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო შესაძლებლობის შექმნის საჭიროებას.

სკოლას დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მარეგულირებელი დოკუმენტი - **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“**, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების ძირითად პროცედურებსა და პასუხისმგებლობებს. თუმცა, პროფესიული განათლების მიმართულებით გამოცდილების ნაკლებობის გამო, კონკრეტული პროგრამის შემუშავების პროცესი სრულად არ განხორციელებულა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია,** შემდგომი პროგრამების შემუშავებისა თუ დანერგვისას, ყველა პროცედურული ეტაპი - საჭიროებათა კვლევით დაწყებული, საბოლოო დამტკიცებით დამთავრებული - ზუსტად მიჰყვებოდეს მოქმედი დებულებით გათვალისწინებულ შაბლონებსა და ოფიციალურ ფორმატებს.

ინდიკატორის 2.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე **„კომპიუტერული ქსელები და სისტემები ”** დაშვების წინაპირობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში არის საბაზო განათლება, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისას - სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და სკოლაში დადგენილი წესების შესაბამისად, რაც გაწერილია სკოლაში მოქმედი რეგულაციით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის 2.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ინტეგრირებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“. დოკუმენტში ცალკე რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისა და გამოანგარიშების საკითხები (თავი X).

მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას, სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, პრაქტიკის ობიექტების/პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს და სხვა შესაბამის ფაქტორებს.

ზღვრული რაოდენობის დადგენის პროცესში ფასდება A, B და C სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა, თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე საჭირო სივრცე, პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა, ასევე პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობასა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.

იმ პროგრამების შემთხვევაში, სადაც გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი ან სწავლება ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან არსებული რესურსისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეესაბამებოდეს დაწესებულების ადამიანურ, მატერიალურ და სასწავლო რესურსებს და ხელს უწყობდეს პროგრამის ხარისხიან და მდგრად განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლამ** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრა დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად. დასაბუთება ეფუძნება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს, მატერიალური და ადამიანური რესურსების, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაძლებლობების კომპლექსურ ანალიზს.

წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო სივრცე (1- A/B გარემო და ინტეგრირებული მოდულების საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები) უზრუნველყოფს **ერთი სასწავლო ჯგუფის - 16 პროფესიული სტუდენტის** მომსახურებას. ამასთან, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზების შესაძლებლობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად უზრუნველყოს ორი სასწავლო ჯგუფის ფუნქციონირება, რის შედეგადაც პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა **32 სტუდენტით**.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დგინდება, რომ სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს პროგრამის დაწყებამდე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების სრულად მობილიზებას. შესაბამისად, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია არა მხოლოდ არსებული სასწავლო სივრცის შესაძლებლობების, არამედ პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სრულად უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლამ გამოიყენა წინასწარ დამტკიცებული მეთოდოლოგია და გადაწყვეტილება დააფუძნა ობიექტურ კრიტერიუმებზე, მათ შორის სასწავლო სივრცის ტევადობაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელზე, მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობასა და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსის უზრუნველყოფის შესაძლებლობაზე. აღნიშნული დასაბუთება ადასტურებს, რომ პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ წალკის №1 საჯარო სკოლის** მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. აღნიშნული რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ ტექნიკურ და საგანმანათლებლო უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ სსიპ წალკის №1 საჯარო სკოლის მიერ განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას, მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების სრულფასოვან წარმართვას და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული რესურსული უზრუნველყოფა ქმნის შესაბამის საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორის 2.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

სკოლის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორის 2.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის N 2-73 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცება განხორციელდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, უფლებამოსილი პირის - სკოლის დირექტორის ადმინისტრაციული აქტით.

ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავების საფუძვლად გამოყენებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, ნათლად ასახავს პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის პროფესიული მიმართულების მკაფიო იდენტიფიცირებას. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის მკაფიო, ადეკვატური და არ ქმნის მცდარ ან შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის არსისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ.

ინდიკატორის 2.1.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. **დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ წალკის №1 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის სტრუქტურა, მიზნები, სწავლის შედეგები, მოდულური კომპონენტები, სტუდენტთა შეფასების მიდგომები, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული რესურსები და სხვა შემადგენელი ელემენტები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის - პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსისა და რესურსული უზრუნველყოფის შესაბამისობა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

შესაბამისად, **სსიპ წალკის №1 საჯარო სკოლის** მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს მისი ეფექტიანი განხორციელებისთვის.

პროგრამის შეფასების საფუძველზე დგინდება ასევე, რომ მისი შემუშავების პროცესში დაცულია **„საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით** დადგენილი მოთხოვნები. პროგრამა მოიცავს ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებულ სწავლის შედეგებს იმ მოცულობითა და ფორმით, როგორც ამას მოქმედი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას როგორც მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებთან, ისე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ქმნის საფუძველს პროფესიული და ზოგადი განათლების შედეგების ერთიან საგანმანათლებლო პროცესში ეფექტიანი ინტეგრაციისთვის.

ინდიკატორის 2.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია და ხედვა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების გაანგარიშების შედეგები;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N 2-73 12.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69 05.06.2026

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელება დაგეგმილია სკოლის ბაზაზე არსებულ სასწავლო იმიტირებულ გარემოში. ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი აქვს A/B ტიპის სასწავლო გარემო, ხოლო ინტეგრირებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომია ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები. ქიმიის ლაბორატორია აღჭურვილია წყალმომარაგების სისტემითა და ჩაშენებული გამწოვით.

შეფასების ეტაპისთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად მობილიზებული არ იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზების ღონისძიებებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. გეგმის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფა დაგეგმილია 2026 წლის ნოემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სასწავლო გეგმები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას.

ამასთან, დადგინდა, რომ პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმის ორი ალტერნატიული ვერსია. პირველი ვერსიის მიხედვით, პროფესიული მოდულების სწავლება იწყება სასწავლო პროცესის პირველივე კვირიდან, ხოლო მეორე ვერსია გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამის დაწყების ეტაპზე ვერ მოხერხდება საჭირო მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება. ამ შემთხვევაში პროფესიული მოდულების სწავლება იწყება სასწავლო პროცესის მე-11 კვირიდან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დადგენილ ვადებში განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა მტკიცებულების სახით შეისწავლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 20 ივლისის ოფიციალური ელექტრონული წერილი, რომლის მიხედვითაც მიღებულია გადაწყვეტილება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის სხვა საჯარო სკოლიდან სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლისთვის გადაცემის შესახებ. წერილი ასახავს ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების დაწყებას, მათ შორის გადასაცემი აღჭურვილობის შეთანხმებისა და ტრანსპორტირების ორგანიზების პროცესს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას, რომ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის პროცესი სამინისტროს კოორდინაციით აქტიურად მიმდინარეობს და არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლა სრულად იქნება უზრუნველყოფილი საჭირო კომპიუტერული ტექნიკით.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულების შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა **შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელებისთვის პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით.**

ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის** მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის, ხოლო მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სასწავლო დატვირთვა შეესაბამება მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებს. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, არცერთი განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს.

პროგრამის განხორციელებისთვის ამ ეტაპზე მობილიზებულია **14 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, მათ შორის **8** - ინტეგრირებული მოდულების, **2** – ზოგადი მოდულების და **4** - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. წარმოდგენილი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულების განხორციელებას.

ამასთან, დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მდგრადობისა და ადამიანური რესურსის უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქვს დამატებითი განმახორციელებლების მოძიება. აღნიშნული ღონისძიებები ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომელშიც განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას. შესაბამისად სკოლას მიეცა **შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბრამდე უზრუნველყოს დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და ხელშეკრულებების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი, ხარისხიანი და მდგრადი განხორციელება.**

ინდიკატორის 2.2.1.2. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის დირექტორის **2026 წლის 1 ივნისის №2-66 ბრძანებით** დამტკიცებული დოკუმენტის **„სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“**, განმახორციელებელთა პირადი საქმეებისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ შესაბამისი პოზიციებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შეფასების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის განმახორციელებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული ღონისძიებები ორიენტირებულია მოდულური სწავლების მეთოდოლოგიის, პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომებისა და შეფასების სისტემის ეფექტიან გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.

ამ მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის დაწყებამდე განსახორციელებელ პროფესიული განვითარების აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები არის თანმიმდევრული, პრაქტიკულად განხორციელებადი და საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამის განხორციელებამდე უზრუნველყოფილი იყოს განმახორციელებელთა პროფესიული მზაობის კიდევ უფრო გაძლიერება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **შესაბამისობის რეკომენდაცია**, რომლის თანახმადაც **სკოლამ უნდა უზრუნველყოს** შესაბამისობის **უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული პროფესიული განვითარების ღონისძიებების სრულად განხორციელება დადგენილ ვადაში** - 2026 წლის **ნოემბრამდე. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება, რათა ისინი პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფლობდნენ პროფესიული განათლებისთვის აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას, თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შეფასების შესაბამის მიდგომებს.**

ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხელმძღვანელად განსაზღვრული პირი აკმაყოფილებს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით **„სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“** დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. აღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით, რომელიც მოიცავს მისი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ მასალებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი ასევე განსაზღვრულია **4 პროფესიული მოდულის განმახორციელებლად**, რისთვისაც მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისი პროფესიული დატვირთვა შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს და უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კოორდინაციას, ისე სასწავლო პროცესში უშუალო მონაწილეობას.

ამასთან, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იქნება პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად. აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს პროგრამის მართვის, მოდულური სწავლების, შეფასების მექანიზმებისა და პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომების ეფექტიანად დანერგვას პროგრამის განხორციელების დაწყებამდე (იხ, ინდიკატორი N 2.2.1.3.).

ინდიკატორის 2.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც შინაარსობრივად შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

ამასთან, შეფასების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ნაწილი, რომელიც ასახულია სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, სკოლაში უკვე ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით, თუმცა რესურსების სრული მობილიზება ჯერ დასრულებული არ არის. აღნიშნული გარემოების აღმოსაფხვრელად სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსების სრულყოფილად უზრუნველყოფის ღონისძიებებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს, რათა პროგრამის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები არის თანმიმდევრული, პრაქტიკულად განხორციელებადი და შესრულების დადგენილი ვადების გათვალისწინებით უზრუნველყოფს შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმოფხვრას. წარმოდგენილი გეგმა ქმნის საფუძველს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების სრულყოფილი უზრუნველყოფისათვის პროგრამის დაწყებამდე.

შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო რესურსების სრულყოფა და განახლება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 2026 წლის ნოემბრამდე, რათა პროგრამის დაწყების მომენტისთვის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ყველა სასწავლო რესურსი.

ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლა** უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, მათ შორის პროფესიული განათლების საფეხურზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება** განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესსა და პირობებს.

დებულებით გათვალისწინებულია, რომ საჭიროების არსებობის შემთხვევაში თითოეული სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მის შესაძლებლობებზე მორგებულ დაგეგმვას.

ამასთან, პროგრამის განმახორციელებლები, საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მონაწილეობით, უზრუნველყოფენ სასწავლო რესურსებისა და სწავლების მეთოდების ადაპტირებას კონკრეტული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

ინდიკატორის 2.2.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლას** შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ფინანსური პროგნოზი როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის. აღნიშნული საპროგნოზო ბიუჯეტი ასახავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშებას და წარმოადგენს პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის ფინანსური დაგეგმვა ეფუძნება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების, საოპერაციო ხარჯებისა და მოსალოდნელი შემოსავლების რეალისტურ შეფასებას. ამასთან, პროგრამისთვის განსაზღვრული ფინანსური მდგრადობის მინიმალური ზღვარი შეადგენს **5 პროფესიულ სტუდენტს**, რაც წარმოადგენს იმ რაოდენობას, რომლის პირობებშიც პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიზანშეწონილია. აღნიშნული ფინანსური გათვლები ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს პროგრამის განხორციელების ფინანსური ასპექტები და შესაბამისი დაგეგმვა განხორციელებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის 2.2.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69, 05.06.2026;
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-70, 12.06.2026;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში** პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს – **„დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – გააუმჯობესე (PDCA)"**, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სისტემურ დაგეგმვას, განხორციელების მონიტორინგს, შედეგების შეფასებასა და მიღებული მონაცემების საფუძველზე შემდგომ განვითარებას.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი **„პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"**, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასიცოცხლო ციკლის ძირითად ეტაპებს. დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, პერიოდული შეფასების, განვითარების, ცვლილებების განხორციელებისა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუქმების პროცედურებს, ასევე შესაბამის პროცესებში პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გეგმავს გადაწყვეტილებების მიღებას მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით. კერძოდ, პროგრამის სრულყოფის პროცესში გათვალისწინებული იქნება როგორც შიდა და გარე შეფასების შედეგები, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების უკუკავშირი, პროფესიული სტუდენტების მოსაზრებები და სხვა რელევანტური მონაცემები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განვითარება ეფუძნებოდეს მტკიცებულებებსა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს.

ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სკოლა გეგმავს პროგრამის შეფასებისთვის სპეციალური ინსტრუმენტების, მათ შორის კითხვარებისა და სხვა უკუკავშირის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას. მათი გამოყენება ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელების ხარისხის სისტემურ შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, ხოლო მიღებული შედეგების გამოყენებას პროგრამის ხარისხის უწყვეტი განვითარების პროცესში. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე პრინციპებს და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, შედეგზე ორიენტირებულ განვითარებას.

რამდენადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტების (კითხვარებისა და სხვა უკუკავშირის მექანიზმების) შემუშავება და მათი პრაქტიკაში გამოყენება ამ ეტაპზე მხოლოდ დაგეგმვის ეტაპზეა და ჯერ არ ხორციელდება. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით მონაცემების სისტემური შეგროვებისა და ანალიზის პრაქტიკა ჯერ არ არის დანერგილი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია**:

სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები (პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამსაქმებლებისთვის), განსაზღვროს მათი გამოყენების პერიოდულობა, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცედურები, ასევე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მტკიცებულებებსა და უკუკავშირზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლას** შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებისა და მისი შემდგომი განვითარების მექანიზმები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“** შესაბამისად, პროგრამის განხორციელების გამოცდილების დაგროვების შემდეგ დაწესებულება გეგმავს პროგრამის ხარისხის სისტემურ შეფასებასა და მიღებული შედეგების ანალიზს.

აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში დაგეგმილია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ჩატარება, სადაც განხილული იქნება პროგრამის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება, გამოვლენილი გამოწვევები, ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. შეხვედრების მიზანია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების განხილვა, მოსაზრებების ურთიერთგაზიარება და პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის შესაბამისი წინადადებების ჩამოყალიბება.

სკოლა გეგმავს, რომ მიღებული ინფორმაცია და შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ან მის ცალკეულ მოდულებში ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძვლად, დაწესებულების მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების გზით და ხელს უწყობს მისი ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, სკოლამ წინასწარ დაარეგულიროს პროგრამის განმახორციელებელთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების წესი, მათ შორის განსაზღვროს მათი ჩატარების პერიოდულობა, ფორმატი, შეხვედრების შედეგების დოკუმენტირების პროცედურა და მიღებული გადაწყვეტილებების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის სისტემურ წარმართვას, მიღებული ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო შედეგიან ფუნქციონირებას.

ინდიკატორის 2.3.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69, 05.06.2026;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე N 2-72, 12.06.2026;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია სასწავლო გეგმები როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, ისე არაინტეგრირებული ფორმატით. სასწავლო გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ფორმა და უზრუნველყოფილია როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების ხელმისაწვდომობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმის ორი ალტერნატიული ვერსია. პირველი ვერსიის მიხედვით, პროფესიული მოდულების სწავლება იწყება პროგრამის განხორციელების პირველი კვირიდან, ხოლო მეორე ვერსია გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამის დაწყების მომენტისთვის სკოლა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსების სრულ მობილიზებას. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, პროფესიული მოდულების სწავლება დაიწყება მე-11 კვირიდან, ხოლო პირველ ათ კვირაში განხორციელდება მხოლოდ ზოგადი განათლების ინტეგრირებული კომპონენტების სწავლება.

ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფა განსაზღვრულია **2026 წლის ნოემბრის ბოლომდე**. შესაბამისად, სასწავლო გეგმის ალტერნატიული ვერსია წარმოადგენს გარდამავალ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის დაწყებას მოქმედი მოთხოვნების დაცვით, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებას - მხოლოდ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრულად ხელმისაწვდომობის შემდეგ.

სასწავლო გეგმების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამაში შემავალი მოდულები დალაგებულია ლოგიკური და შინაარსობრივი თანმიმდევრობით. მათი განაწილება უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას და ითვალისწინებს მოდულებს შორის წინაპირობებსა და ურთიერთკავშირს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა აგებულია ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს პროფესიული და ზოგადი განათლების სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს **ორ სასწავლო წელს**, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, ხანგრძლივობა და სასწავლო დატვირთვა. აღნიშნული ქმნის პროგრამის ეფექტიანად განხორციელების და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეტაპობრივად მიღწევის საფუძველს.

ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლა** პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო, თანასწორი და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს მათ საგანმანათლებლო ინტერესებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და განვითარების შესაძლებლობებს.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“** განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დებულებით რეგულირდება სწავლების ორგანიზებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისათვის თანასწორი, გამჭვირვალე და სამართლიანი სასწავლო გარემოს შექმნა.

ამასთან, სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სისტემურ მონიტორინგს, რათა დროულად გამოავლინოს პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევები და შეფასოს სასწავლო გარემოს ეფექტიანობა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პროფესიულ სტუდენტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყვეტ კომუნიკაციასა და უკუკავშირის მიღებას, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას დროულად გამოავლინოს მათი საჭიროებები, გაითვალისწინოს გამოთქმული მოსაზრებები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, პროფესიული განათლების ხარისხის უწყვეტ განვითარებას და პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე ორიენტირებული მიდგომები, შეფასების ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და მიღებული შედეგების გამოყენების პრაქტიკა ჯერ არ არსებობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე სკოლამ დანერგოს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმი. ასევე სასურველია განისაზღვროს უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, მათი გამოყენების პერიოდულობა და მიღებული შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების წესი, რათა სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნებოდეს პროფესიული სტუდენტების გამოცდილებას, საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში განსაზღვრულია ისეთი სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას, დამოუკიდებელი მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და გუნდური თანამშრომლობის კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და პროფესიული სტუდენტების დარგში არსებული თანამედროვე მოთხოვნებისთვის მომზადებას. ამასთან, სკოლა გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლების მხარდაჭერას თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და დარგობრივი სიახლეების დანერგვის მიმართულებით.

შეფასებისას ასევე დადგინდა, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“**, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად პროცესებს. დებულება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების, დასწრებისა და გაცდენების რეგულირების წესს, მობილობის, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებს, ინკლუზიური განათლების განხორციელების, შეფასებისა და აპელაციის, ასევე ფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს.

სკოლის ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იხელმძღვანელებს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომით და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს როგორც სასწავლო გეგმებით განსაზღვრულ ვადებსა და სწავლის შედეგებს, ისე პროფესიული სტუდენტების კანონიერ ინტერესებს. ამასთან, დებულებით გათვალისწინებულია მოქნილი რეაგირების შესაძლებლობა ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებზე, როგორიცაა ფორს-მაჟორული ან სხვა ობიექტური გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ასეთ ვითარებაში სკოლა უფლებამოსილია მოქმედი რეგულაციების ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა, ერთი მხრივ, დაცული იყოს პროგრამის ხარისხი და სწავლის შედეგები, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და განათლების უწყვეტობის დაცვა.

ინდიკატორის 2.4.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ **სსიპ ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის** დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“** ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმებს პროგრამის განხორციელების პროცესში. დებულება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ისეთი ფორმით, რომელიც ხელს უწყობს თითოეული სტუდენტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, მისი მომზადების საფუძვლები, პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირები, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხილვის, დამტკიცებისა და საჭიროების შემთხვევაში მისი გადახედვის წესი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება იმ შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებები მოითხოვს სასწავლო პროცესის ადაპტირებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

ამასთან, საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებები, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადაპტირება, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და პროგრამის განმახორციელებლების თანამშრომლობა. აღნიშნული მიდგომა ქმნის წინაპირობას, რომ პროგრამის განხორციელება წარიმართოს თანასწორი ხელმისაწვდომობის, ინკლუზიურობისა და პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შესაბამისად, თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით

წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებების დროულ გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და გამოყენებას. აღნიშნული მიდგომები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელს უწყობს სტუდენტების თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ქმნის პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად.

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის პროცესის, მათზე რეაგირების მიზნით განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების სისტემური დოკუმენტირება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, კონსულტაციების ამსახველი ჩანაწერების, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგის შედეგებისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოების გზით. მსგავსი პრაქტიკა ხელს შეუწყობს არსებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და დაადასტურებს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომების რეალურ განხორციელებას.

ინდიკატორის 2.4.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელები და სისტემები " სკოლის მიერ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში სკოლა სრულად საკუთარი რესურსით წარმართავს სასწავლო პროცესს.

ინდიკატორის 2.4.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელები და სისტემები"** ფარგლებში თეორიული სწავლება დაგეგმილია **A/B ტიპის სასწავლო გარემოში**, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო პირობებით და არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც მოითხოვს დამატებით ან სპეციალურ უსაფრთხოების ღონისძიებებს.

რაც შეეხება პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს, მისი განხორციელება დაკავშირებულია ძირითადად კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობასა და სტანდარტულ საოფისე სამუშაო პროცესებთან. აღნიშნული საქმიანობა არ მიეკუთვნება მომეტებული რისკის შემცველ სამუშაოებს და არ საჭიროებს სპეციალური უსაფრთხოების წესების შემუშავებას. მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება ტექნიკის უსაფრთხო გამოყენების ზოგადი მოთხოვნები, სამუშაო სივრცის ორგანიზებისა და ელექტროუსაფრთხოების ძირითადი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო გარემოში საქმიანობას.

ინდიკატორის 2.4.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N 2-73 12.06.2026;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69; 05.06.2026

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, პრინციპებს, პროცედურებსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნული დებულების თანახმად, შეფასება არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიხატება შესაბამისი სწავლის შედეგის დადასტურებით ან არ დადასტურებით. ამასთან, დებულებაში ასახულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“ და განსაზღვრულია მისი გამოყენების პირობები. ასევე რეგულირდება ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომლის მოთხოვნების დაცვითაც უნდა განხორციელდეს შეფასების პროცესი.

დებულების მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. თითოეული პრინციპის რეალიზებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, ვალიდურობა უზრუნველყოფილია ისეთი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს; სანდოობა - შეფასების შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვითა და შენახვით; გამჭვირვალობა და სამართლიანობა - წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების, პროცედურებისა და შეფასების პირობების პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობით; ხოლო ობიექტურობა - შეფასების ერთიანი მიდგომებისა და პროცესის მიკვლევადობის უზრუნველყოფით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულება ასევე არეგულირებს შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, მათ შორის განმეორებითი შეფასების განხორციელების წესს. პროფესიულ სტუდენტს მინიჭებული აქვს უფლება, მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგები, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით - სასამართლოში გაასაჩივროს დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მოქმედების წესი განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მათ შორის განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობას, შედეგების გადამოწმების შესაძლებლობასა და პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას.

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები იცნობენ პროფესიული სტუდენტების შეფასების წესს, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების მარეგულირებელ მოთხოვნებს. ამასთან, მათ აღნიშნეს დამატებითი გადამზადების საჭიროება აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში ერთიანი და ეფექტიანი გამოყენების მიზნით. აღნიშნული საჭიროება გათვალისწინებულია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, კერძოდ, ინდიკატორით **2.2.1.3**, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაბამის გადამზადებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყებამდე.

წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შექმნილი აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის სამართლებრივი და პროცედურული საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების განხორციელებას ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. ამასთან, ვინაიდან დაწესებულება იმყოფება ავტორიზაციის პროცესში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ დაწყებული არ არის, შეფასების სისტემის პრაქტიკაში გამოყენებისა და ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 2.4.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების ვერიფიკაციის პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, შეფასების შედეგების სანდოობის დადასტურებასა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. აღნიშნული მექანიზმები ამოქმედდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული განხორციელების ეტაპზე.

დებულებით რეგულირებულია ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი საკითხები, მათ შორის მისი მიზნები, განხორციელების ეტაპები, პროცესში მონაწილე პირების პასუხისმგებლობები და შედეგების დოკუმენტირების მოთხოვნები. განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციის ფარგლებში შეფასდება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმების ადეკვატურობა, წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა და მიღებული შეფასების შედეგების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პასუხისმგებლობის ფარგლებში შედის ვერიფიკაციის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელების კოორდინაცია, დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის სისტემატური მიღება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი. აღნიშნული ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იქნება საგანმანათლებლო პროცესების, შეფასების სისტემისა და დაწესებულების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისკენ. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ვერიფიკაციას განახორციელებს პირი, რომელიც არ არის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი და არ მონაწილეობდა მის შემუშავებაში. ვერიფიკაციის აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობისა და სანდოობის გაძლიერებას, ასევე ქმნის შესაძლებლობას, დროულად გამოვლინდეს შეფასების პროცესში არსებული შესაძლო ხარვეზები და განხორციელდეს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს ასევე შეფასების მტკიცებულებების შექმნის, აღრიცხვისა და შენახვის წესებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მიკვლევადობასა და შემდგომი გადამოწმების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების ვერიფიკაციის სისტემის სამართლებრივი და პროცედურული საფუძველი. განსაზღვრული მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და შეფასების შედეგების შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას და ქმნის წინაპირობას შეფასების სისტემის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. ამასთან, ვინაიდან დაწესებულება იმყოფება ავტორიზაციის პროცესში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ დაწყებული არ არის, ვერიფიკაციის მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 2.4.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მართვის წესები. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სათანადო აღრიცხვას, შენახვასა და საჭიროების შემთხვევაში მათი გადამოწმების შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის მნიშვნელოვან საფუძველს.

დებულებით რეგულირდება შეფასების შედეგების დოკუმენტირების პროცედურები, მათ შორის შეფასების უწყისების წარმოება, შეფასების მტკიცებულებების ფორმირება, მათი რეგისტრაცია და შენახვის წესი. განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესში მიღებული მონაცემების სისტემატიზაციას და შემდგომი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომობას. დაწესებულების შიდა რეგულაციების მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები, შეფასების უწყისები და შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია ინახება **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში**, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული ვადა უზრუნველყოფს როგორც შეფასების შედეგების შემდგომი გადამოწმების შესაძლებლობას, ისე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის საჭირო ინფორმაციის შენარჩუნებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის აუცილებელ საფუძველს შეფასების პროცესის დოკუმენტირების, შეფასების შედეგების გადამოწმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისთვის. ასევე უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და მისი ხელმისაწვდომობა შესაბამისი საჭიროებების შემთხვევაში.

ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზი აჩვენებს, რომ შეფასების პროცესი განიხილება არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების საშუალებად, არამედ მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტად. რეგულაციებით განსაზღვრული მიდგომები ქმნის შესაძლებლობას, შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს სტუდენტის პროგრესის შესაფასებლად, გამოვლენილი საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დასაგეგმად.

დებულებით გათვალისწინებულია შეფასების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესში მიღწეული პროგრესის ანალიზი, არსებული სირთულეების იდენტიფიცირება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უფრო მოქნილ ორგანიზებას და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ამასთან, შეფასების შედეგების აღრიცხვისა და დოკუმენტირების დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დინამიკის შენარჩუნებასა და შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. მიღებული მონაცემების საფუძველზე დაწესებულებას ექნება შესაძლებლობა დაგეგმოს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები, მათ შორის დამატებითი კონსულტაციები, განმტკიცებითი აქტივობები, განმეორებითი შეფასება ან ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვა ფორმები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციები და მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების საფუძვლები პროფესიული სტუდენტების განვითარების მხარდასაჭერად. შემუშავებული მიდგომები უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ამასთან, რადგან დაწესებულება იმყოფება ავტორიზაციის პროცესში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკული გამოცდილებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 2.4.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.08,2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: